



შესანიშნავი შვიდეული, ლიდერობის და რისკის კონცენტრაცია

შესავალი

შესანიშნავი შვიდეული — შვიდი უმსხვილესი, მზარდი, ამერიკული კომპანიის არაფორმალური აღნიშვნა. ეს კომპანიებია: **Apple, Microsoft, Nvidia, Amazon, Alphabet, Meta და Tesla**. პრაქტიკულად საუბარია არა უბრალოდ პოპულარულ საბაზრო იარლიყზე, არამედ ემიტენტების ჯგუფზე, რომელთა გავლენა ამერიკული საფონდო ბაზრის დინამიკაზე სისტემური გახდა. Fidelity-ის მონაცემებით, 2024 წლის ბოლოსთვის ეს კომპანიები შეადგენდნენ დაახლოებით S&P 500-ის კაპიტალიზაციის მესამედს, ხოლო 2025 წელს უზრუნველყეს ინდექსის შემოსავლიანობის 40%-ზე მეტი.

კონცენტრაცია ასევე უკიდურესად მაღალი რჩება **Nasdaq-100**-ის შემთხვევაშიც. Invesco-ს მონაცემებით, 2025 წლის 2 ივნისის მდგომარეობით „Magnificent 7“ იკავებდა **QQQ-ის სტრუქტურის 39.4%-ს**, რომელიც Nasdaq-100-ის მონაცემებსაც ითვალისწინებს. Vanguard-მა 2026 წლის აპრილში შვიდეულის კომპანიების ერთობლივი წილის ღირებულება შეაფასა როგორც **აშშ-ის აქციების მთელი ბაზრის 30%-იანი მოცულობა**.

მთავარი საინვესტიციო თეზისი ამ ჯგუფის გარშემო აგებულია რამდენიმე ფაქტორის კომბინაციაზე:

- დომინირება ხელოვნური ინტელექტის, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის, ციფრული რეკლამის, კორპორაციული პროგრამული უზრუნველყოფისა და ნახევარგამტარების სეგმენტებში;
- მაღალმომგებიანობის მაჩვენებელი, ძლიერი ბალანსი და მრავალმილიარდიანი საინვესტიციო ციკლების დაფინანსების უნარი, ფინანსური მდგრადობის გაუარესების გარეშე;
- ამასთანავე, დღეის მდგომარეობით, სწორედ ეს შვიდეულია ამერიკული ბაზრისთვის კონცენტრირებული რისკის მთავარი წყარო, რაც უფრო მაღალია მისი წილი ინდექსებში, მით უფრო ძლიერია S&P 500-ისა და Nasdaq-100-ის საერთო დინამიკის დამოკიდებულება აქციების შეზღუდულ რაოდენობაზე.

„Magnificent 7“-ის კონცეფცია, ასახავს არა მხოლოდ ცალკეული კომპანიების ლიდერობას, არამედ საბაზრო ფოკუსის სტრუქტურულ გადანაცვლებას AI-ის, ღრუბლოვანი სისტემებისა და ციფრული ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

შესანიშნავი შვიდეულის საბაზრო მნიშვნელობა


„Magnificent 7“ უნდა განიხილებოდეს, როგორც თანამედროვე ამერიკული საფონდო ბაზრის ბირთვი. თუ წინა ათწლეულებში ბაზარი იყენებდა ისეთ არაფორმალურ კატეგორიებს, როგორიც იყო **Nifty Fifty** ან **FAANG**, 2023 წლიდან სწორედ „Magnificent 7“ გახდა ზრდის, კაპიტალისა და ინვესტორთა ყურადღების კონცენტრაციის მთავარი სიმბოლო, **large-cap equities** სეგმენტში.

Nasdaq-ის მონაცემებით, 2024 წელს „Magnificent 7-ის“ ინდექსი გაიზარდა **67.3%-ით**, ხოლო მისმა ორწლიანმა შემოსავლიანობამ მიაღწია **246.4%-ს**, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ფართო ბაზრის მაჩვენებლებს. ეს ადასტურებს, რომ ბოლო წლების ფინანსური ზრდა განპირობებული იყო არა მთელი ბაზრის თანაბარი გაუმჯობესებით, არამედ პირველ რიგში უმსხვილესი ტექნოლოგიური კომპანიების შეზღუდული წრის ზრდის დაჩქარებით.

REPRESENTATION OF THE MAGNIFICENT 7 IN US INDICES


MAGNIFICENT 7 IN US 500

- Apple 4.0%
- Microsoft 3.6%
- Amazon 2.9%
- Alphabet 2.9%
- Meta 2.0%
- Nvidia 3.3%
- Tesla 1.4%
- Other stocks 79.9%



MAGNIFICENT 7 IN US TECH 100

- Apple 11.9%
- Microsoft 10.6%
- Amazon 8.6%
- Alphabet 8.5%
- Meta 6.1%
- Nvidia 9.9%
- Tesla 4.3%
- Other stocks 40.2%



US indices

Total market capitalisation in February 2025*

US 500

\$55,110,799,190,000 (55.11 trillion)

US Tech 100

\$28,910,000,000,000 (28.91 trillion)

Magnificent 7 stocks

Total market capitalisation in February 2025*

Apple

\$3,430,450,000,000 (3.43 trillion)

Microsoft

\$3,056,250,000,000 (3.06 trillion)

Nvidia

\$2,858,380,000,000 (2.86 trillion)

Amazon

\$2,497,680,000,000 (2.50 trillion)

Alphabet (Google)

\$2,464,450,000,000 (2.46 trillion)

Meta

\$1,761,240,000,000 (1.76 trillion)

Tesla

\$1,234,710,000,000 (1.23 trillion)

*Approximate, based on data from Business Insider and Tipranks.

Nifty Fifty (1960 -1970-იანი წლები)

„დიდებული ორმოცდაათი“ -ეს არის ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე დიდი კომპანიების (blue chips 50) აქციის ჯგუფი, რომლებიც იმდენად საიმედოდ ითვლებოდა, რომ შეიძლებოდა მათი ყიდვა ნებისმიერ ფასად და პოზიციის სამუდამოდ შენარჩუნება.

- **blue chips კომპანიების მაგალითები:** IBM, Coca-Cola, Walt Disney, McDonald's, Xerox, Kodak, Polaroid.
- **მახასიათებლები:** ინვესტორებს სჯეროდათ მათი უსასრულო ზრდის, რამაც გამოიწვია უკიდურესად მაღალი P/E (ფასი/მოგება) კოეფიციენტები საშუალოდ დაახლოებით 42, მაშინ როცა დანარჩენი S&P 500 ბაზრისთვის ის დაახლოებით 19 იყო.
- **შედეგი:** 1973–1974 წლების „bear market“-ის დროს ეს აქციები ბაზარზე მეტად გაუფასურდა, რადგან მათი შეფასება რეალურ შემოსავლებთან შედარებით ზედმეტად გადაჭარბებული იყო.

Nifty Fifty-ს ისტორიის მთავარი გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ დიდი კომპანიებიც კი შეიძლება ცუდ ინვესტიციად იქცეს, თუ მათ აქციებს გადაჭარბებულად მაღალ ფასად იყიდი. ბევრი ანალიტიკოსი ამ მაგალითს იყენებს, რათა ფრთხილად იყოს მიმდინარე საბაზრო ლიდერების გარშემო ატეხილი ზედმეტი აჟიოტაჟის შესახებ.

FAANG (2010- დღემდე)

აკრონიმი, რომელიც აერთიანებს აშშ-ის ხუთ უმსხვილეს ტექნოლოგიურ გიგანტს, რომლებიც ბოლო ათწლეულებში ბაზარზე დომინირებდნენ.

- **შემადგენლობა:** Facebook (ამჟამად Meta), Amazon, Apple, Netflix, Google (Alphabet).
- **მახასიათებლები:** ეს კომპანიები S&P 500 ინდექსის ზრდის მამოძრავებლები გახდნენ. ისევე როგორც Nifty Fifty-ის შემთხვევაში, ინვესტორები მათ ხშირად ყიდულობდნენ, მაღალი შეფასებების იგნორირებით, ეკონომიკაში მათი დომინანტური პოზიციის გამო.

ამასთან, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ „Magnificent 7“ არ არის არც ფორმალური ინდექსი და არც ცალკეული სექტორი. ეს არის საბაზრო კონსტრუქცია, რომელიც ასახავს კომპანიების მასშტაბს, კაპიტალიზაციას, ზრდის ტემპებს და გავლენას ინდექსებზე. ეს ჯგუფი გახდა FAANG-ის ლოგიკური გაგრძელება, მაგრამ უფრო ფართო აქცენტებით. პლატფორმებისა და ციფრული რეკლამის გარდა, მასში უკვე შედის AI-აპარატული უზრუნველყოფა, ღრუბლოვანი სისტემების გამოთვლები და კორპორაციული პროგრამული უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ „Magnificent 7“ უკეთ ასახავს ტექნოლოგიური ციკლის მიმდინარე ფაზას, ვიდრე წინა საბაზრო წოდებები.

რა გარემოებები დგას ჯგუფის ზრდის უკან

„Magnificent 7-ის“ ზრდის მთავარი მამოძრავებელია ბაზარზე ხელოვნური ინტელექტის როლის მასშტაბური გადაფასება უმსხვილესი ამერიკული კორპორაციების მომავალი მოგების სტრუქტურაში. Nvidia გახდა AI-ციკლის საბაზისო ინფრასტრუქტურული ბენეფიციარი ამაჩქარებლებისა და data-ცენტრების გადაწყვეტილებების მეშვეობით. Microsoft, Amazon, Alphabet და Meta ზრდიან ინვესტიციებს გამოთვლით სიმძლავრეებში, მოდელებში, პლატფორმულ სერვისებსა და კორპორაციულ AI-პროდუქტებში. შედეგად, ბაზარმა ამ კომპანიების შეფასება მოახდინა როგორც არა მხოლოდ ტექნოლოგიური სექტორის მორიგ გამარჯვებულთა, არამედ როგორც ახალი საინვესტიციო ციკლის, მარჯის მნიშვნელოვანი ნაწილის მომავალი მიმღებების.

საინვესტიციო გარემოს მდგრადობის დამატებითი ფაქტორი არის ის, რომ „Magnificent 7“ სრულად ერთგვაროვან კლასტერს არ წარმოადგენს. Vanguard- ხაზს უსვამს, რომ კომპანიები ხშირად ერთ ბლოკად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბიზნეს-მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდება; აქციების ბაზარზე წარმატება არ ნიშნავს კომერციული სტრუქტურების იდენტურობას. ეს მნიშვნელოვანი მომენტი საინვესტიციო ანალიზისთვის: Apple, Amazon, Microsoft, Alphabet, Meta, Nvidia და Tesla-ს აერთიანებს მასშტაბი და საბაზრო გავლენა, მაგრამ არა ერთნაირი რისკ-პროფილი.

შესაბამისად, ბაზარმა შეიძლება გააგრძელოს საერთო „იარლიყის“ გამოყენება მათ მიმართ, მაგრამ თითოეული ფასიანი ქაღალდის ფუნდამენტური შეფასება მაინც ინდივიდუალური უნდა დარჩეს.

საინვესტიციო ქეისის პოზიტიური მხარეები

Magnificent 7-ის“ ჯგუფის პირველი, ძლიერი მხარეა **სტრუქტურული ლიდერობა**. ეს კომპანიები იკავებენ წამყვან პოზიციებს ციფრული ეკონომიკის საკვანძო სეგმენტებში: დიებაში, რეკლამაში, ღრუბლოვანი სისტემებში, კორპორაციულ პროგრამულ უზრუნველყოფაში, ჩიპებში, სამომხმარებლო ელექტრონიკაში და ელექტრომობილუბში. ეს მათ აძლევს მასშტაბს, **pricing power**-ს და შესაძლებლობას, პირველებმა გადააქციონ ტექნოლოგიური ცვლილებები შემოსავლად და ფულად ნაკადად.

მეორე ძლიერი მხარეა **ბალანსის ხარისხი და კაპიტალზე წვდომა**. ამ კომპანიებს შეუძლიათ შეინარჩუნონ უზარმაზარი ხარჯები R&D-ზე, data-ცენტრებზე, AI-ჩიპებზე, ლოგისტიკასა და ეკოსისტემებზე, მდგრადობის დაუყოვნებლივი გაუარესების გარეშე.

მესამე ფაქტორია **გავლენა ინდექსებზე და კაპიტალის ნაკადებზე**. ინდექსებში მათი მაღალი წილი ავტომატურად უზრუნველყოფს პასიური და **benchmark-oriented** ინვესტორების მხრიდან არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით მსხვილ ამერიკულ ETF-ებში სახსრების შემოდინების გაგრძელების პირობებში.

ინვესტორისთვის ეს ნიშნავს, რომ „Magnificent 7“ ინარჩუნებს ხარისხის და არა მხოლოდ „ჰაიპის“. სწორედ ზრდის ხარისხისა და ფულადი ნაკადის მოცულობის კომბინაცია არის პასუხი კითხვაზე, თუ რატომ რჩება ეს ქაღალდები ყურადღების ცენტრში რამდენიმეწლიან, მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგაც კი.

“Speculative bubble“- მოთხოვნის ბევრი ისტორიული ეპიზოდისგან განსხვავებით, აქ არის არა მხოლოდ ნარატივი, არამედ რეალური ბიზნესები გიგანტური შემოსავლით. Vanguard მიუთითებდა, რომ ამ ჯგუფის ერთობლივმა შემოსავალმა 2025 წელს მიაღწია **\$2.2 ტრილიონს**, რაც ადასტურებს მათ კორპორაციულ და საბაზრო მასშტაბს.

ძირითადი რისკები

მთავარი რისკი არის **კონცენტრაციული**. რაც უფრო დიდია „Magnificent 7“-ის წილი ძირითად ინდექსებში, მით უფრო მაღალია მთელი ბაზრის სისტემური დამოკიდებულება კომპანიების შეზღუდულ რაოდენობაზე. Invesco პირდაპირ აღნიშნავს, რომ კონცენტრაცია „ორივე მიმართულებით მუშაობს“: იგივე ქაღალდები, რომლებიც ინდექსს ზემოთ ექაჩებიან, კორექციის შემთხვევაში მის ვარდნასაც აძლიერებენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც თავს დივერსიფიცირებულად მიიჩნევენ S&P 500-ის ან Nasdaq-100-ის მეშვეობით, მაგრამ რეალურად მნიშვნელოვან ექსპოზიციას იღებენ ერთსა და იმავე კომპანიათა ნაკრებზე.

შემდეგი რისკი არის **შეფასებითი**. ბოლო ორი წლის განმავლობაში აქციების ძლიერმა ზრდამ ბაზარი გაცილებით უფრო მგრძნობიარე გახადა ნებისმიერი გადახრის მიმართ, ფაქტობრივ შედეგებსა და ფასში ჩადებულ ოპტიმიზმთან მიმართებაში. ბიზნესის გამორჩეული ხარისხიც კი არ არის დამცავი მულტიპლიკატორების შეკუმშვისგან, თუ მოგების ზრდა შენელებულია ან AI-მონეტიზაცია მოლოდინებზე ნელა განხორციელდება. Nifty Fifty-ის ისტორია აქ მართებულია არა როგორც პირდაპირი პროგნოზი, არამედ როგორც სასარგებლო შეხსენება: „დიდებულ კომპანიებსაც შეუძლიათ გადაფასებული გახდნენ.“

მესამე რისკი არის **რეგულატორული**. რაც უფრო მაღალია უმსხვილესი პლატფორმების საბაზრო ძალაუფლება, მით უფრო აქტიურდება ანტიმონოპოლიური ზეწოლა. ერთ-ერთი ყველაზე

თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს სარჩელი Apple-ის წინააღმდეგ, შეტანილი 2024 წლის 21 მარტს. DOJ-მა პირდაპირ განაცხადა, რომ Apple-ს ადანაშაულებს სმარტფონების ბაზრის მონოპოლიზაციაში ან მონოპოლიზაციის მცდელობაში „Section 2 Sherman Act-ის“ დარღვევით. თუნდაც ასეთი საქმეების განხილვა დიდხანს გრძელდებოდეს, ისინი ზრდიან რეგულატორულ გაურკვევლობას და შესაძლოა ზღუდავდნენ ეკოსისტემების, საკომისიოებისა და დახურული სერვისული მოდელების მონეტიზაციას.

მეოთხე რისკი არის **მაკროეკონომიკური**. მზარდი კომპანიები განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან კაპიტალის ღირებულების მიმართ. თუ საპროცენტო განაკვეთები მოსალოდნელზე დიდხანს მაღალი რჩება, მომავალი ფულადი ნაკადები უფრო მცაცრად დისკონტირდება, ხოლო პრემიული შეფასებები ნაკლებად მდგრადი ხდება. მეორე მხრივ, ტექნოლოგიური ციკლი ინსტიტუციურ მხარდაჭერასაც იღებს. მაგალითად, **CHIPS and Science Act** ითვალისწინებს **\$52.7 მილიარდს**, ხუთი წლის განმავლობაში ნახევარგამტარების სფეროში პროგრამებისა და ინიციატივებისთვის, საიდანაც **\$39 მილიარდი** მიმართულია წარმოების სტიმულირებაზე. ეს ამცირებს სექტორული რისკების ნაწილს, მაგრამ არ აუქმებს შეფასებების დამოკიდებულებას მონეტარულ გარემოზე.

საინვესტიციო დასკვნა

საინვესტიციო თვალსაზრისით „Magnificent 7“ საჭიროა განიხილებოდეს არა როგორც ერთიანი აქტივი, არამედ როგორც ამერიკული ბაზრის **კონცენტრირებული ბირთვი**, რომელშიც ერთდროულად არის თავმოყრილი ხარისხის საუკეთესო ელემენტები და სისტემური რისკის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტები.

ჯგუფის ძლიერი მხარე მდგომარეობს: მასშტაბის, ინოვაციების, მაღალი მომგებიანობისა და ციფრული ეკონომიკის საკვანძო სეგმენტებში ფაქტობრივი ლიდერობის შეთავსების უნარში. სუსტი მხარე კი იმაშია, რომ ინდექსებში ასეთი მაღალი წილი და მოლოდინების ასეთი მაღალი დონე ამ ქაღალდებს მოწყვლადს ხდის ზრდის ტემპების ნებისმიერი შემცირების, AI-ციკლის გადაფასების, რეგულატორული შეზღუდვების ან საბაზრო **risk sentiment-ის** გაუარესების მიმართ.

ანალიტიკური შეფასება

„Magnificent 7“ რჩება ამერიკული საფონდო ბაზრის მთავარ ცენტრად, მაგრამ ამავდროულად ხდება მისი კონცენტრირებული რისკის მთავარი წყაროც. სანამ შენარჩუნებულია: AI-ში, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურასა და ციფრულ პლატფორმებში ინვესტირების მაღალი ტემპები, ეს ჯგუფი, სავარაუდოდ, გააგრძელებს საბაზრო ლოკომოტივის როლის შესრულებას. თუმცა ინვესტორისთვის სულ უფრო ნაკლებად გონიერულია „შესანიშნავი შვიდეულის“ აღქმა როგორც უპირობოდ ერთგვაროვანი ზრდის ინდიკატორისა. მიმდინარე ეტაპზე უფრო მიზანშეწონილია შერჩევითი მიდგომა, თითოეული კომპანიის ცალკეული ანალიზი, ხოლო თვითონ ჯგუფის როგორც ტექნოლოგიური ლიდერის მდგომარეობის გამოყენება, საბაზრო კონცენტრაციისა და აშშ-ში რისკის მიმართ ინტერესის მდგრადობის ინდიკატორად.

პასუხისმგებლობის უარყოფა

წინამდებარე ანალიტიკური მიმოხილვა (შემდგომში — „მიმოხილვა“) მომზადებულია Rioni Capital LLC-ის მიერ მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. მიმოხილვა არ წარმოადგენს და არ უნდა იქნეს განხილული როგორც ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაცია, საინვესტიციო რჩევა, შეთავაზება, ოფერტა, ოფერტის გაკეთების მოწვევა, რეკომენდაცია რაიმე ფინანსური ინსტრუმენტის ყიდვის, გაყიდვის, გამოწერის, გაცვლის, გამოსყიდვის, ფლობის, ნებისმიერი გარიგების განხორციელების ან რაიმე საინვესტიციო სტრატეგიის შესრულების შესახებ.

მიმოხილვა მომზადებულია საჯარო (ღია) წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც Rioni Capital LLC მიმოხილვის მომზადების თარიღისთვის სანდოდ მიიჩნევს. ამასთანავე, Rioni Capital LLC არ იძლევა დაპირებას ან გარანტიას, პირდაპირ თუ ნაგულისხმევს-მიმოხილვაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტის, სისრულის, აქტუალობის ან სანდოობის შესახებ. მიმოხილვაში მოცემული ნებისმიერი შეფასება, მოსაზრება, დაშვება და დასკვნა ასახავს ავტორების მსჯელობას გამოქვეყნების თარიღისთვის და შეიძლება შეიცვალოს წინასწარი შეტყობინების გარეშე.

მიმოხილვაში მოცემული ინფორმაცია არ ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტული პირის საინვესტიციო მიზნებს, ფინანსურ მდგომარეობას, ცოდნის დონეს, გამოცდილებას, მისაღები რისკის დონეს, საინვესტიციო პორტიფოლს ან სხვა ინდივიდუალურ მახასიათებლებს. მიმოხილვაში მოხსენიებული ფინანსური ინსტრუმენტები, გარიგებები, მომსახურებები ან სტრატეგიები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს თქვენს საინვესტიციო პროფილს, მოლოდინებს ან მიზნებს. ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის, ოპერაციის ან სტრატეგიის შესაფერისობის შეფასება უნდა განხორციელდეს თქვენს მიერ, დამოუკიდებლად ან დამოუკიდებელი პროფესიონალი მრჩეველების ჩართულობით.

Rioni Capital LLC არ იძლევა რაიმე შემოსავლიანობის, ფინანსური შედეგის ან საინვესტიციო მიზნის მიღწევის გარანტიას. ფინანსური ინსტრუმენტებისა და სხვა აქტივების ღირებულება შეიძლება როგორც გაიზარდოს, ისე შემცირდეს, ხოლო ინვესტორმა შეიძლება დაკარგოს ინვესტირებული თანხების ნაწილი ან მთლიანად ყველა ინვესტირებული თანხა.

წარსულში მიღებული საინვესტიციო შედეგები არ წარმოადგენს მუდმივ მაჩვენებელს და არ იძლევა მომავალში შედეგების განმეორების გარანტიას. სახელმწიფო არ იძლევა ინვესტიციების შემოსავლიანობის გარანტიას. ნებისმიერი საკომისიო, მოსაკრებელი, გადასახადი და სხვა ხარჯი ამცირებს ინვესტიციების საბოლოო შემოსავლიანობას.

მიმოხილვა არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც ინფორმაციის ერთადერთი წყარო საინვესტიციო, ფინანსური, იურიდიული, საგადასახადო, ბუღალტრული ან სხვა გადაწყვეტილების მისაღებად. ნებისმიერი გარიგების განხორციელებამდე ინვესტორმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს ყველა რისკი და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს დამოუკიდებელი იურიდიული, საგადასახადო, ფინანსური და სხვა პროფესიული კონსულტაცია.

Rioni Capital LLC, მისი მონაწილეები, ხელმძღვანელები, თანამშრომლები, წარმომადგენლები და აფილირებული პირები არ აგებენ პასუხს რაიმე პირდაპირ ან ირიბ ზარალზე, ზიანზე, მიუღებელ სარგებელზე, ხარჯზე ან სხვა შედეგზე, რომელიც წარმოიშობა მიმოხილვის, მასში მოცემული ინფორმაციის გამოყენებასთან ან მიმოხილვის საფუძველზე მიღებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

თუ მიმოხილვის ტექსტში პირდაპირ სხვაგვარად არ არის მითითებული, Rioni Capital LLC არ იღებს ვალდებულებას მიმოხილვის განახლების, შევსების, გადახედვის ან სხვა ფორმით რედაქტირების შესახებ მისი გამოქვეყნების თარიღის შემდეგ, მათ შორის ახალი ინფორმაციის გამოჩენის, საბაზრო პირობების ცვლილების ან შემდგომი მოვლენების შემთხვევაში.

მიმოხილვაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს საავტორო უფლებების ობიექტს და დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. მიმოხილვაზე ყველა უფლება ეკუთვნის Rioni Capital LLC-ს.

მიმოხილვის მასალების სრული ან ნაწილობრივი რეპროდუცირება, გავრცელება, გამოქვეყნება, მესამე პირებისთვის გადაცემა, გადამუშავება, მნიშვნელოვანი მოცულობითი საჯარო ციტირება ან სხვაგვარი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ Rioni Capital LLC-ის წინასწარი წერილობითი ნებართვის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც პირდაპირ არის დაშვებული მოქმედი კანონმდებლობით. ნებისმიერი ნებადართული ციტირების შემთხვევაში სავალდებულოა მითითება Rioni Capital LLC-ზე როგორც უფლების მფლობელსა და მასალის წყაროზე.

© Rioni Capital LLC. ყველა უფლება დაცულია.

თბილისი, საქართველო, 2026